

ადამიანური რესურსების მენეჯერის როლის მნიშვნელობა საქართველოში  
მოქმედ კერძო კომპანიებში

ნინო ობოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არაა მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ობოლაძე

01.07.2022

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ადამიანური რესურსების მენეჯერის როლის მნიშვნელობა საქართველოში მოქმედ კერძო კომპანიებში. დღევანდელ გარემოში იზრდება მსგავსი ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც ბაზარზე თავის დამკვიდრება და განვითარება სურთ. შესაბამისად იკვეთება ამ თანამშრომლის აქტუალობა ფირმებში, რათა სპეციალური მიდგომებით, ცოდნითა და უნარებით გაზარდოს კმაყოფილი და მოტივირებული თანამშრომლების რიცხვი, რაც კომპანიაზეც დადებითად აისახება. ჩემი მიზანი იყო ამ კვლევით დამედასტურებინა ჰიპოთეზა, რომ HR მენეჯერის როლი მნიშვნელოვანია საქართველოში მოქმედ კერძო კომპანიებში, იგი ეხმარება კომპანიას, რომ იპოვოს ახალი კადრი და აიყვანოს სამუშაოდ. ასევე თანამშრომლებს უქმნის მოტივაციას და აძლევს კარიერულად განვითარების საშუალებას.

კვლევის ჩატარებამდე განვიხილე წყაროები, რომლებიც დეტალურად უკავშირდებოდა ჩემს საკვლევ თემას. მიმოვიხილე ადამიანური რესურსების სფეროს განვითარების გზები და სხვადასხვა მეთოდები, რაც დამეხმარა უფრო ღრმად შემესწავლა აღნიშნული საკითხი და ჩამეტარებინა რელევანტური კვლევა.

აღნიშნული ჰიპოთეზა გადავამოწმე რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევებით. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 109 კერძო კომპანიაში მომუშაუთა რესპოდენტმა, რომელთაც ჰყავთ ადამიანური რესურსების მენეჯერი ორგანიზაციაში და ჰქონიათ მასთან შეხება. თვისობრივ კვლევაში კი გამოვკითხე 7 გაყიდვების მენეჯერი, რომლებიც ასევე დასაქმებულები არიან კერძო კომპანიებში და HR მენეჯერთან ჰქონიათ კავშირი. ორივე კვლევა ჩავატარე ონლაინ რეჟიმში Google Forms-ისა და Zoom-ის დახმარებით.

კვლევის შედეგების საფუძველზე დადასტურდა ჩემი საკვლევ ჰიპოთეზა. კვლევაში მონაწილე რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს ადამიანური რესურსების მენეჯერის როლს კომპანიაში, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის კადრების შერჩევაში, დატრენინგებაში და მათ განვითარებაზე ზრუნვაში.

**საძიებო სიტყვები:** ადამიანური რესურსების მენეჯერი, კერძო კომპანიები, HR-ის მნიშვნელობა ორგანიზაციაში.

## Abstract

This paper discusses the role of the human resources manager importance of private companies which are operating in Georgia. Nowadays, there are growing the number of similar organizations that want to establish and develop themselves in the market. Accordingly, the urgency of this employee in firms is evident, in order to increase the number of satisfied and motivated employees with special approaches, knowledge and skills, which will have a positive impact on company. My goal in this study was to confirm the hypothesis that the role of HR manager is important in private companies, which are operating in Georgia. It helps the company to find new staff and hire them. It also motivates the employees and gives them an opportunity for career development.

Before conducting the research, I reviewed sources that were related in detail to my research topic. I reviewed the ways and different methods of human resource development, which helped me to study this issue in more depth and to conduct relevant research.

I have tested this hypothesis with quantitative and qualitative studies. The quantitative survey involved respondents from 109 private companies who have a human resource manager in the organization and have had contact with it. In a qualitative survey I interviewed 7 sales managers who are also employed by private companies and had a relationship with an HR manager. I conducted both surveys online with the help of Google Forms and Zoom.

Based on the results of my research my hypothesis was confirmed. Respondents to the study highlighted the role of the human resource manager in the company, that this employee makes a significant contribution to staff selection, training and development.

**Search Keywords:** human resource manager, private companies, the importance of HR manager in the organization.